# მომავალი

—საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი—

№ 85 სამშაბათი, 8 დეკემბერი 1909 წ. № 85

გაზეთი „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნოემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მან. 60 კაპ. თფილისს გარეთ 1 მან. 80 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ხელის მოწერა მიიღება 1910 წლისათვის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. [გაზ]ეთი წლიურათ ეღირება თფილისში და თფილის, გარეთ 7 მან., ნა[ხე]ვარ წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. [ხე]ლის მოწერა მიიღება თფილისში «მომავალი»-ს კანტორაში, ბათუმ[ში], სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. [კვი]ცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, [ოზ]ურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში პ. [ჭ]რუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Кастрату Конст. Цуладзе.

---

[ს]ომე იოსების ასული ზედგინიძისა, ერასტო კონდრატის-ძე პანოვი, ან[ა] [პ]ავლეს ასული ჯანგაძე და ეკატერინე პანტელეიმონის ასული პაპა[ვა]ლი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი მეუღლის, დანარჩენები ბიძის, მილიციის პრაპორშჩიკ

### ვანე ალექსისძე ზედგინიძის

დაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7 ს. ცხედარს გამოასვენებენ [...] დეკემბერს, დილის 10 საათზე. ანტონოვის ქუჩა № 24, და დაკრძალავენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2—1

---

[...]დორე, მეუღლე მისი ნიფადორა, სილოვან და ევგენი კვიცარიძეები, [...] მათი მართა ასათიანისა გულის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი მამის

### [...]ანოზ გრიგოლ სვიმონის-ძის კვიცარიძის

[გარ]დაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე. დასაფლავება მოხდება სამშაბათს, [...] დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე სოფელ ოფურჩხეთში, რომელიც ქუთაისიდან 11 ვერის მანძილზე მდებარეობს

---

[...]ლდამწვარი მშობლები ალექსანდრე და ლისა, ძმები: გიორგი და მიშა, რძალი [...]ფიო და ძმისწული საშურა საბახტარიშვილები, გულ-მწუხარეთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულ გარდაცვალებას ძვირფასის

### ილიუშა საბახტარიშვილისას

[პა]ნაშვიდი ყოველ დღე, შუადღის ხუთი საათიდან—საკუთარ სახლში. (ფო[...], ლილიანის ქუჩა). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

## გლეხი-კაცის ისტორია

მიიღება ხელის მოწერა

„გლეხი-კაცის ისტორია“-ზე

ცნობილი თხზულება ერკმან-შატრიანისა. სრული თარგმანი ფრანგულიდან ივ. მაჭავარიანის მიერ, ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

**შინაარსი წიგნისა:**

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შესწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი, რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა, უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი, ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ა თ ი შ ა უ რ ი ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე; ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (зак. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტეხნიკური მხარე [...] ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ[...]ების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე ვასილ გადილია.

(20—3)

---

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საზებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—53)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

---

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—53)

---

ქ. ბ ა თ უ მ შ ი

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის

მ ა ღ ა ზ ი ა

## პ. მაჭარაძისა და პ. ა. ჭეიშვილისა

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანსის, ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთული და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● **ფასები ხელმისაწდომია** ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს.

(0—6—7)

---

წარმოდგენა 21. **ქართული თეატრი** აბონიმენტი 9.

**ხუთშაბათს,** 10 **დეკემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა ს. გ ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი ს ა

## ფყურგილი

დრამა 4 მოქმედებათ.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

**ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაცია**

ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-დე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 მ.-მდე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე; მოწაფეთათვის 50 კ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: „სამეგრელოს მთავარი ლევან“, იხატება დეკორაციები, იკერება ტანისამოსი.

მორიგი რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**ქრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

**გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა**

## კოოპერაცია

(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა

**შინაარსი:** რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია. სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლათ. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში.

✖ **წიგნის ფასი 35 კაპ.** ✖

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გრეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія «Шрома» Василію К. Болквадзе.

---

## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი:** კირპიჩნი პერეულოკი, № 2.

---

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

---

ს. ჭიათურაში **კბილის ექიმი**

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

---

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

---

კბილის ექიმი

## ს, ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

---

თ ფ ი ლ ი ს ი ს

## ქალაქის გამგეობა

იწვევს მსურველთ ქალაქის ზოგიერთი უბნების განათების საქმის იჯარით ასაღებათ ჩვეულებრივი ნავთის ფარნებით. ამ ჟამათ იჯარით გასაცემია 3000 ცალი ფარანი. საჯარო ვაჭრობა მოხდება ქალაქის გამგეობის დარბაზში შაბათს, 16 დეკემბერს, მდგომარე 1909 წლისა, ნაშუადღევის 1 საათზე.

ყოველივე პირობების და კონდიციების გაცნობა ამ საქმის შესახებ შეიძლება გამგეობის პირველი განყოფილების კანცელარიაში [...]

---

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

## „განათლება“-ზე

(წელიწადი მესამე)

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა, ორიდან სამ ბეჭდურ თაბახამდის.

ხელის მომწერთათვის წლიურათ ჟურნალი ეღირება 3 მ., ნახევარი წლით 2 მ. გაგზავნით, სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი წლიურათ **ორ მანეთათ** დაეთმობათ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში.

ქალაქს გარეთიდან წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія, Л. Г. Боцвадзе

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.


---

## პრესა

„ნოვაია რეჩ“-ში ვინმე ტ—ძეს მოჰგონებია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 6 დეკემბრის საზოგადო კრების გამო. ვინაიდან ეს ერთათ ერთი კულტურული საზოგადოება მთელი ქართველი ხალხისათვის

„უნდა ჩაეწერონ წევრებათ ხალხის უგედა შეგნებული ელემენტები, მით უმეტეს, რომ საწევრო გადასახადი სულ რაღაც სამი მანეთია (ხაზი ავტორისაა).

„ხალხის ყველა შეგნებული ელემენტი“ და მათ შორის, განსაკუთრებით მშრომელი ხალხი (მუშები და გლეხები) ამბობენ: სანამ, რაც შეიძლება არ შემცირდება საწევრო გადასახადი, „საზოგადოებაში“ ხელ-მოკლეობის გამო საშვალება არ გვაქვს ჩავეწეროთ. ეს, ალბათ, ჯერ არ გაუგონია ტ—ძეს და ისე სწერს „რაღაც სამი მანეთიაო“, თითქოს ეს სამი მანეთი მართლა არაფერი იყოს ღარიბთათვის.

* *

«ცნობილი» და „ნიჭიერი“ ნ. ჩაპოვი განაგრძობს პეტერბურგიდან „ზაკ.“-ში წერილების გზავნას. კიდევ კარგი, „თაფლს“ რომ არ გზავნის, თვარა „ბუზები“ აქაურობას აიკლებდენ.

ბ. ჩაპოვი ხშირათ ასწრებს „კერძო ბინაზე", „სალამის", „მუსაიფს", ვახშამს გინდ სადილს და რასაც ლაპარაკობენ იქ ვახშმობისას გინდ შემდეგ, აღდება და დასწერს. ასე რომ, მისი წერილები უმეტეს ნაწილათ „კერძო ბინებზე", ან ვახშმებზე გამართულ მუსაიფის ანგარიშია. ამიტომ, სადაც ის ასწრობს, უმეტესად „ჩინოვნიკები", რასაკვირველია, სამსახურით გასულნი და მუსაიფიც კავკასიაზე.

კვირის „ზაკავკაზიე"-ში ერთ ვახშამზე ნალაპარაკევის ანგარიში მოგვყავს ფელეტონი უწერია. ლაპარაკობენ კავკასიაზე „ოტსტავნოი" გამოსულები „ჩინოვნიკები". მათ უკვირთ, რომ კავკასიაში ხალხი დაყოფილია სხვადასხვა პარტიებათ. ერთი ამბობს:

„არ კმარა მარტო ქართველი რომ სთქვა, არამედ—უსათუოთ უნდა ჰკითხო სოციალ-დემოკრატია თუ ავტონომისტი. ამაირჩიეს ქართველი დეპუტატი, მარა თითონ ქართველები არ არიან კმაყოფილი, გინაიდან, თურმე ის სხვა პარტიას ეკუთვნის, ერთ სომეხს ჰკითხავ—რუსეთის საუკეთესო მეგობარია, მეორეს—მტერია. თათრებსაც სურთ შექმნან პარტიები: ერთი თათარი მიტინგზე ამტკიცებდა, რომ საუბედუროთ, ჩვენში აგრარული მოძრაობა არ არისო. როგორ მოგწონთ? მარა ეს ფაქტია. ინტელიგენტმა თათარმა მითხრა. ყველაფერი არეულია. ამიტომ სჯობს ყოველივე პარტიაზე ფიქრს თავი დაანებოთ" და სხ. და სხ.

ლაპარაკობს მეორე რუსი, რომელსაც ქართველი დედა ჰყოლია და თითონაც თელავში ყოფილა დაბადებული. ის ამბობს:

„კავკასიაში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მოქმედი ენერგიული ადმინისტრაცია. საჭიროა ორგანიზაციულათ კარგათ შეკავშირებული პოლიცია. საჭიროა ფხიზელი თვალ-ყურის დევნება მართვა-გამგეობისთვის. საჭიროა მართვა-გამგეობის ერთგვარობა ყველა კუთხეებში, რომ ყოველი მაზრის უფროსი ან ბოქაული თავისი პოლიტიკის მიხედვით არ სწყვეტავდეს სახელმწიფოებრივ საკითხებს. საჭიროა ადმინისტრაცია მხარეს იცნობდეს, [illegible]

თითქმის ასეთივე აზრებს ან ამის საწინააღმდეგოს გამოსთქვამენ ეს „ოტსტავნოი" „ჩინოვნიკები".

მარა, ერთი ვიკითხოთ: რა ფასი აქვს ვილაც „ოტსტავნოი" „ჩინოვნიკის" აზრს ქართველ ხალხზე და საზოგადოთ, კავკასიაზე. მე შენ გეტყვი, მათი აზრი მთავრობის ან რუსეთის საზოგადოებრივ აზრს გამოხატავს ჩვენზე.

როცა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ბელადიდან გინდ უმაღლესი მთავრობის წარმომადგენლიდან მიდიან ინტერვიუით გაზეთის თანამშრომლები, კიდევ გვესმის—უნდათ გაიგონ ამა თუ იმ კითხვის შესახებ—თუ რა აზრი და განწყობილებაა ამა თუ იმ პარტიაში ან უმაღლეს სფეროებში, თუმცა, ძალიან ხშირათ, პარტიის ბელადი, ან მთავრობის წარმომადგენელი სწორედ ცნობას ვერ იძლევა—ხშირათ პარტია მისი ბელადის აზრით კი არა, სულ სხვა დადგენილებას ღებულობს. ასევეა მთავრობის პოლიტიკაშიც. ამიტომ, ყველა ასეთი ინტერვიუები საეჭვო ღირებულებისაა, მარა ჩაპოვის წერილებს ხომ ასეთი ხასიათი არ აქვს და როგორც ვხედავთ, „ხასიათი" მეტათ ეჭვების აღმძრელია.

მაგ., „ზაკ."-ს კვირის ფელეტონში ჩაპოვმა ერთ „კერძო ბინაზე" ალაპარაკა ეს უსახელო „ოსტოვნოი" ჩინოვნიკები კავკასიის საქმეებზე და ერთ-ერთ „ორატორს" ასე „შეაწყვეტია" სიტყვა:

..„აქ კი, საუბედუროთ, სიტყვა შეაწყვეტინეს, ვინაიდან ვახშმათ მიგვიპატიჟეს. ვახშმის შემდეგ კი, წინეთ სერიოზულ თემებზე ლაპარაკით დაღლილნი, მხიარულ თეატრზე და სხვადასხვა გასართობებზე მუსაიფს".

ეჭვი არაა, ბ. ჩაპოვი მალე იმასაც გვაცნობებს, თუ რა აზრის არიან ეს „ჩინოვნიკები" ამ გასართობებზე და როგორ ტკბილათ მოისვენეს „მუსაიფის" შემდეგ.

* *

პეტერბურგიდან „ზაკავკაზიე"-ში გადმოტანილი „თაფლი" წვრილ-ფეხა „ბუზთა" ყურადღებასაც იქცევს. არც გასაკვირია. მადა აღეძრათ. მიდიან და მიდიან..

„თაფლისკენ" მიიწევს, სხვათა შორის, კვირას „გამოჩეკილი" იუმორისტული ალმანახი „დიპლიპიტო", რასაკვირველია, თავისი „ჰუმორით", წერილიც თან მიაქვს:

„ხომ წაიკითხე სადათელაშვილის და მისი თანამოაზრის ბაასი „დროებაში", ჰკათ მაგათ! მხოლოდ ქართველები გვეჩხირებიან თვალებში, თვარა სხვები, უნდათ თუ არ უნდათ. [illegible] ამით კავკასიის მკვიდრნი გადავასახლოთ ჩრდილოეთში და ჩვენ კი, მონგოლიიდან ჩამოსახლებულები დავრჩებით ქართველების თვალ-ბუდეებში, ამისთვის ჩვენ დიდი ხანია სოლიდარობას გვიცხადებს თვით ქართველთა უმრავლესობა"-ო...

ამიტომ,

„მწყობრათ უნდა ავაყოლოთ ჩვენი სირონოზის ხმა „ვიჯმნით ემმაკასაგანო".

ამის შემდეგ, ეჭვს გარეშეა, ეს წვრილი „ბუზიც" საპატიო ადგილს დაიჭერს მსხვილ „ბუზთა" შორის და „თაფლსაც" არავინ დაიშურებს მისთვის.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6—7 დეკემბერი.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. ფინანსთა მინისტრმა პასუხი გასცა შეკითხვაზე, რატომ არ შედის ძალაში არა ყურძნის სპირტის შემოტანის შესახებ კანონი, ამის მიზეზი ორია: ერთი—შეუძლებელია არა ყურძნის სპირტი გაარჩიონ ნამდვილ ყურძნის სპირტისაგან, მეორე—ის, რომ სახელმწიფოებთან ხელშეკრულობით თავისუფლათ შემოტანილ იქნას ყოველივე საქონელი. ჩაეწერა 20 ორატორი.

**სტამბოლი.** საელჩოს ეკლესიაში სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების გამო.

### საზღვარ-გარეთ

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. 4 დეკემბერს მომხდარ ინციდენტის გამო პალატის დარბაზიდან ხალხი გარეკეს. 6 სხდომა უინციდენტოთ გაგრძელდა.

**პარიზი.** სამოსამართლო გამომძიებელმა დაადგინა სისხლის სამართალში მისცეს რუსი ტერორისტები ბერლინოვი და მარტინოვი, ასაფეთქებელ ნივთიერებათა კეთებისა და შენახვისათვის.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. დიდ პარტიების ლიდერების შეთანხმების გამო, ჩეხელ-აგრარიებმა თავიანთი საჩქარო წინადადებები უკან წაიღეს. 2 დეკემბერს დილის 11 საათზე დაწყებული სხდომა ჯერაც არ შეწყვეტილა.

**ვენა.** ფრიდიუნგის პროცესი. თავის ნებით გამოცხადდა სერბიის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი სპალაიკოვიჩი, რომ, როგორც მოწმემ, დაიცოს ორივე სახელმწიფოს კეთილი განწყობილება და გაანთავისუფლოს სამშობლო და თავის თავი მძიმე ბრალდებისგან. სპალაიკოვიჩი ამტკიცებს, რომ ფრიდიუნგის მიერ წამოყენებული საბუთები სრული სიყალბეა. თუ მისი დამტკიცება ეჭვს გამოიწვევს, მაშინ სერბიის მთავრობა მიანდობს თავიანთ წარმომადგენლებს ბელგრადში გადასინჯონ საბუთები და დარწმუნდნენ მისი ჩვენების სრულ სიმართლეში. სპალაიკოვიჩმა მინისტრ მილოვანოვიჩის სახელით განაცხადა, რომ სერბიის მთავრობას არას დროს არავითარი დამოკიდებულობა არ ქონია ზაგრების სერბ-ხორვატების კოალიციასთან და თავის დღეში არ გაუწევია ავსტრო-უნგრეთში სერბიის პროპაგანდა. ფრიდიუნგმა სპალაიკოვიჩის ჩვენებაზე ეჭვი განაცხადა.

**რომი.** დეპუტატთა პალატაში და სენატში მინისტრ-პრეზიდენტმა სონინომ საპროგრამო სიტყვა წაიკითხა. მინისტრ-პრეზიდენტმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მთავრობის მთავარი ყურადღება მიქცეულია შრომისა და კაპიტალის დაცვისაგან. რადგან ის სახელმწიფოს კეთილდღეობის ერთათ-ერთი წყაროა, რომ მთავრობა ეცდება მოახდინოს რეფორმები და საგარეო საქმეებში მშვიდობიანობა დაიცოს.

**პარიჟი.** გავასის სააგენტოს კანნიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ 5 დეკემბერს ნაშუადღევის 5 საათსა და 30 წუთზე გარდაიცვალა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე.

**ლისსაბონი.** კაბინეთმა მეფეს გადადგომის თხოვნა მიართვა. მეფემ მიიღო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. გალიციელ რუსებმა პროტესტი განაცხადეს ნაკაზის შეცვლის შესახებ, რომელიც მცირე რიცხოვან პარტიის წინააღმდეგ არის მიმართული. დიდი პარტიის ორატორები ლაპარაკობდენ საჩქაროთ განეხილათ ნაკაზის შეცვლის შესახებ წინადადება. 315 ხმით, წინააღმდეგ 91 ხმისა წინადადების საჩქაროთ განხილვა მიიღეს. შემდეგ მიიღეს პროექტი ნაკაზის შეცვლის შესახებ. ნაკაზი ნებას აძლევს პრეზიდენტს თავის თავის უფლებით გააძევოს პალატის 1—3 სხდომიდან დეპუტატები პრეზიდენტის შეურაცყოფისა ან დაუმორჩილებლობისათვის. ცვლილებები ერთი წლის განმავლობაში რჩება ძალაში. სხდომა 8-ს საათის შემდეგ დაიხურა.

**პარიჟი.** მანიფესტანტების ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წინ დემონსტრაცია გამართა, მოითხოვდენ დაეკეტათ სავაჭრო დაწესებულებები კვირა-უქმე დღეებში. მოხდა პოლიციელებთან შეტაკება. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს.

### რუსეთი.

**პერმი.** სოსვინსკის რკინის გზაზე მუშათა მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. მძიმეთ დაშავდა მემანქანე, მისი თანაშემწე, კონდუქტორი და ერთი ბავშვი. კოჩეგარს მდუღარე გადაესხა და ჩქარა გარდაიცვალა.

[illegible] რომლებიც ყალბ ოქროს ფულებს ასაღებდენ. წაართვეს 1175 მანეთი.

**პეტერბურგი.** საოლქო სასამართლომ „პეტერბ. ლისტ." რედაქტორი ასი მანეთით დააჯარიმა, მთავრობაზე ყალბი ცნობების გავრცელებისთვის.

**ხარბინი.** რადგან ხმები გავრცელდა მანჯურიაში საშიშ მდგომარეობის შესახებ, რამაც გამოიწვია პეკინიდან მანჯურიელ მოსწავლე ახალგაზრდობის წასვლა, პეკინიდან ვიცე-კოროლს წინადადებით სცეს დაურიგონ ადგილობრივ მთავრობებს დამამშვიდებელი განცხადებები ქალაქებში გასავრცელებლათ.

**სარატოვი.** ღიაწყო უნივერსიტეტის გახსნის დღესასწაული.

**პლოცკი.** რამუტიევსკის გმინის სამართლოში სამი შეიარაღებული ყოჩაღი შეიჭრა. მწერალს და იქ მყოფ ვებს უბრძანეს ადგილიდან არ დაძრულიყვნენ. მოიტაცეს 70 პასპორტის წიგნაკი, დასტოვეს პ. პ. ს. ხელმოწერილი ბარათი და გაიქცენ.

**გაგრი.** (შემთხვევითი) საუცხოოსილი დღეებია. დღეს, დილის 10 საზე ჩრდილში 16 გრადუსია, მზეზე—28. ტემპერატურა 13-ნახევარ გრადუსი. ყვავის მაგნოლია, მიმოზი, ია, ვარდი, აკაციები. ლიმონს, მანდარინს და ფორთოხლებს კრეფენ.

**სევასტოპოლი.** მებრძოლ რაზმის ორგანიზატორებს, რომლებმაც 1907 წს ასაფეთქებელ ნივთიერებათა ლაბორატორია, იარაღები და სტამბა ქონდ, სამხედრო სასამართლომ ათი წლის კატორღა მიუსაჯა.

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი

**მთავრობის სესხი.** თეირანიდან პეშით იტყობინებიან, რომ მთავრობა რუსეთ-ბრიტანიის მისიებს მიმართა თხოვნით დაეხმარონ 500,000 გირვანქა სტერლინგის სესხის ასაღებათ. სესხის პირობები ჯერ გამოურკვეველია.

### საზღვარ-გარეთ

**ლიბერალები და ირლანდიელები.** ირლანდიელ ნაციონალურ ლიგის საბჭომ გადასწყვიტა, ყოველი ღონე იხმაროს არჩევნებში ლიბერალების დასახმარებლათ. სამაგიეროთ, მინისტრი ასკვიტი ირლანდიელებს დაპირდა გომრულ გაყვანას.

**ბურცევი ამერიკაში.** როგორც ამ წინათ ვსწერდით, ბურცევი ამერიკაში მიემგზავრება, სადაც მოხსენებებს წაიკითხავს რუსეთის პოლიციის დეპარტამენტის მოქმედების შესახებო. ლექციებს გასამართავათ ამერიკაში განსაკუთრებული კომიტეტი შესდგა, რომელშიაც გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები შევიდნენ. ამერიკის ზოგიერთ გავლენიან გაზეთების რედაქციისაგან ბურცევმა წინადადება მიიღო, მიაწოდოს მათ მთელი რიგი წერილებისა რუსეთის შესახებ. თავის მოხსენებაში ბურცევი, სხვათა შორის, გამოაქვეყნებს ცნობებს რუსეთ-ამერიკის დიპლომატიურ დამოკიდებულების შესახებ და აგრეთვე რუსეთ-იაპონიის ომის დროიდან.

# სახელმწიფო დუმა

## ადგილობრივი სასამართლოს რეფორმა.

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან)

**კ. ჩხეიძე.** ჩვენი პრინციპიალური შეხედულება ამ კანონ-პროექტის შესახებ უკვე განმარტა ჩემმა ამხანაგმა ბელოუსოვმა. მე შევეხები კანონ-პროექტს იმდენათ, რამდენათაც მასში გამოიხატა სასამართლოს რეფორმის საკითხი რუსეთის განაპირა მხარეში — კავკასიაში.

ალიძვრის თუ არა აქ საკითხი რომელიმე რეფორმაზე, თქვენ წინდაწინვე შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ აი ამ ტრიბუნაზე ერთი მეორეს მოჰყვება მთელი რიგი ორატორების და თვითეული მათგანი თქვენ ერთს და იმავე საყვედურს და პროტესტს გიმეორებენ. ისინი გეტყვიან, რომ მათ მხარს ეულიან, უყურადღებოთ სტოვებენ, მათი მხარე ურეფორმოთ რჩება და სხვადასხვა. ამ კანონ-პროექტის გამოც ხომ უკვე გაიგონეთ ასეთივე საყვედურები და პროტესტები. სწორე გითხრათ, მეც ერთ დროს ასეთივე აზრის ვიყავი, მაგრამ ახლა საქმეს ვუკვირდები, ვრწმუნდები, რომ ასეთ პროტესტებს და საყვედურებს ადგილი არ უნდა ქონდეს.

ყოველ შემთხვევაში ვიტყვი, რომ ადგილი არ უნდა ქონდეს ასეთ საყვედურებს, როცა გაითვალისწინებთ მესამე დუმის ორი წლის მუშაობას კავკასიის სასარგებლოთ. ვიტყვი მეტსაც: ასეთი საყვედური უმადურობის მომასწავებელი იქნებოდა.

მართლაც, მესამე დუმამ კარგათ იცის მაგალითად, რომ კავკასიას დიდათ ესაჭიროება ერობა. ჰო და, მე შემიძლია დავადასტურო, რომ მესამე დუმამ ბევრი რამ გააკეთა კავკასიისათვის ერობის საკითხში, თვითმართველობის საქმეში. აი თუნდა მოიგონეთ, რომ დუმამ კარგი ხანია დაამტკიცა შტატი, რომლის თანახმათაც ევლახში უკვე დანიშნულია ერთი უბნის ზედამხედველი. (Околоточный надзиратель). შემდეგ, სწორეთ წარსულ სესიაში დუმამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ქალაქ თფილისს მიენიჭა არსებულზე ორჯერ მეტი „გოროდოვოები". როგორც ხედავთ, დუმამ უკვე წარსდგა პირველი ნაბიჯები კავკასიის თვითმართველობის საქმეში. (სიცილი).

თქვენ იცით აგრეთვე, რომ კავკასიაში დღემდის არსებობს ბატონ-ყმობა. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ აქაც ბევრი რამ გააკეთა სახელმწიფო დუმამ. აქ მე თქვენ მოგაგონებთ მაგალითათ იმ კანონს, დუმის მიერ მიღებულს, რომლის ძალითაც კავკასიის ხარები უკვე გაუთანასწორდენ იქაურ ცხენებს (законъ о воловьей повинности на Кавказѣ). მაშ, ეს პირველი ნაბიჯია, რომ ახლო მომავალში ხარები, ცხენები და გლეხები ერთათ გაათანასწორონ უფლებებით. (ტაშის ცემა მარცხნივ; დაცინვითი გამოძახილი მარჯვნით).

საზოგადოთ, მე ძლიერ ბევრი მაგალითები შემეძლო მომეყვანა იმის შესახებ, თუ რა დიდის ყურადღებით ეკიდება მესამე დუმა კავკასიის საკითხებს, მაგრამ, ვგონებ, აღნიშნული მაგალითებიც კმარა.

ახლა საქმე მიდგა ადგილობრივი სასამართლოს რეფორმაზე; ამიტომაც კითხვა იბადება უნებლიეთ: როგორ მოექცა მთავრობა და დუმის კომისია აქ კავკასიას.

შეიძლება გეთქვათ, რომ მთავრობამაც და კომისიამაც გვერდი აუარა კავკასიას, მაგრამ ეს შეცდომა იქნება. კომისიამ ეს საკითხი ჩინებულათ გაითვალისწინა, გასაჯა და შემდეგ დასკვნას დაადგა:

„კომისიაო" აჯეუბნება მოხსენება, უწყების წარმომადგენლებთან ერთათ სცნობს, რომ უდროვოა ცვლილების შეტანა კანონ-პროექტის მეორე მუხლში, (კანონ-პროექტის ეს თავი შეეხება კავკასიას, ციმბირს, ვარშავის ოლქს, ბალტიის გუბერნიებს), რადგან ის გუბერნიები და ქალაქები, რომლებშიაც წარმოებენ აქ აღნიშნული დაწესებულებები, არ შედიან იმ 46 გუბერნიის რიგში, სადაც პირველჯერ უნდა იქნეს შემოღებული ადგილობრივი სასამართლოს რეფორმა".

ამ რიგათ, უმთავრესი საბუთი, რომ კავკასიას გვერდი აუარონ ისაა, რომ კავკასია იქ არ ძეს, სადაც არის აღნიშნული 46 გუბერნია.

მაშ, ამიერიდან ჩვენ გვეცოდინება, რომ კავკასია სადაც სხვაგან ძევს და არა იქ, სადაცაა არხანგელის ან კურსკის გუბერნია!

მართლა რომ ეს შეურყეველი საბუთია იმის, რომ კავკასია განზე დასტოვოთ და გვერდი აუხვიოთ!

მოხსენებაში კიდევ უფრო შეურყეველი საბუთებია და ზოგიერთ მათგანს მე მოვიყვან.

სახელმწიფოებრივი მოსაზრებანი გვაიძულებენ, გვიმტკიცებს მოხსენება, რომ ადგილობრივი სასამართლოს რეფორმის დაგვიანება ყოვლად შეუძლებელია.

როგორც ხედავ, ეს სახელმწიფოებრივი მოსაზრება მეტათ საპატიო საბუთათ ითვლება, რომ შიდა გუბერნიებში შემოღებულ იქნეს განახლებული სასამართლო ინსტიტუტი.

იმავე საბუთიდან გამოყავთ სრულიად წინააღმდეგი დასკვნა, როცა საქმე კავკასიას ეხება. იგივე სახელმწიფო მოსაზრება მოითხოვს, რომ იქ, კავკასიაში, რეფორმას ადგილი არ ექნეს!

რუსეთიო, განმარტავს მოხსენება, განიცდის გარდამავალ დროს; ახლა რუსეთში მყარდება უფლებრივი წეს-წყობილება, ამიტომაც საჭიროა განახლებული სასამართლო ინსტიტუტიო.

კავკასიაც, რა თქმა უნდა, ასეთსავე დროს განიცდის, ამიტომაც ის უყურადღებოთ უნდა დარჩეს!!

შემდეგ მოხსენება აღნიშნავს: გარდამავალი დრო ავათმყოფობის მომასწავებელი პროცესია და რაც შეიძლება, ეს პროცესი უნდა შემოკლდეს სასამართლოს რეფორმითო.

ასეთივეა ეს პროცესი კავკასიისათვისაც, ამიტომაც, აქ სამსჯავროს რეფორმა უადგილოა!

აი, ბ.ბ. ასეთ გვარი მოსაზრებებით გვიმტკიცებენ, რომ კავკასიაში ასეთ რეფორმას ადგილი არ უნდა ქონდეს დღეს.

არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც, აქ მოხსენებული არ არის, მაგრამ თავის თავათ იგულისხმება ხოლმე, როცა ლაპარაკია კავკასიაში რეფორმების შემოღების საჭიროებაზე. სახელდობრ: კავკასიის ხალხი გაუნათლებელია, აი ეს მოსაზრება! ვთქვათ, ერთ წამს, რომ ეს მართლა ასეა, ვსთქვათ, კავკასიის ხალხი ვოლოგდის ან უფის გუბერნიის მცხოვრებზე მართლა გაუნათლებელია. ამ შემთხვევაში ჩვენ ვამბობთ: აბა, მოგვაწოდეთ შკოლები.

თქვენი სასწავლებლები, განსაკუთრებით უმაღლესი, რევოლიუციის და სეპარატიზმის ბუდეთ იქცევა, გვესმის პასუხათ.

რა ერობა, როცა თქვენში დღემდის ბატონ-ყმობა არსებობს, გაისმის პასუხათ.

თუ აგრეა, მოუღეთ ბოლო ასეთ სამარცხვინო მდგომარეობას, გაგვათავისუფლებიეთ გლეხები.

ამისთვის ფული არ გვაქვს, გვესმის გამოძახილი.

ჰო, და მაშ, უსასყიდლოთ გაუშვათ გლეხები!

არ შეიძლება. მებატონეს ვერ შეურაცხვყოფთ, აუწყებენ კავკასიელებს.

ამ რიგათ, კავკასიისათვის შეკრული მოჯადოებული წრე და კავკასიელებს უბნებიან: ადიდეთ მამა-ზეციერი, რომ შეძლება მოგეცეთ ამ მოჯადოებულ წრეში იტრიალოთ; ეს ერთათ ერთი რამაა, რაც შეგვიძლია მივსცეთ კავკასიელებს (ტაში მარცხნივ; სიცილი).

ასეთსავე გამოუვალ წრეშია მომწყვდეული კავკასია სასამართლოს და მართლმსაჯულების მხრივ.

კომისიის მოხსენებაში ვკითხულობთ: „ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ კომისიის აზრით უდიდესი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს კავშირი სასამართლოს და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის; უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი პირობების და ჩვეულების ცოდნას".

ამავე მოხსენებაში შემდეგ ვკითხულობთ: „ამიტომაც კომისიამ სცნო, რომ მომრიგებელ მსაჯულათ ადგილობრივი მცხოვრები იქნება."

ასეთივე აზრი გამოსთქვეს დღეს აქ

**მიწის მუშათა დელეგაცია.** საფრანგეთის პარლამენტის მიწის მუშათა ჯგუფმა ბრიანს დელეგაცია გაუგზავნა. დელეგაციამ ბრიანს სთხოვა მოხუცების დროს დაზღვევის კანონი ვრცელდებოდეს წვრილ ფერმერებზე და დაქირავებულ მიწის მუშებზე. დელეგაციამ განაცხადა, რომ კანონი, რომელიც მიწის მუშებს გვერდს აუხვევს, უსამართლო კანონი იქნებაო.

**მოძრაობა პოლიციელთა შორის.** პარიზის პოლიციელთა შორის მოძრაობა დღითი-დღე იზრდება. „გოროდოვოების“ დეპუტაციამ პოლიციის დირექტორს მიმართა პეტიციით, რომელშიდაც ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობას მოითხოვენ.

**ბალფურის სიტყვა.** ინგლისის კონსერვატორების ბელადმა ერთ საარჩევნო კრებაზე საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა სხვათა შორის, რომ მთავრობის მოთხოვნილება სათემო პალატის მიერ სახელმწიფო საქმეების უკანტროლო მართვა-გამგეობის შესახებ უაზროაო. მთავრობის მოთხოვნილების განხორციელება ერთ პალატიან წესის შემოღებას მოასწავებს, რაც ინგლისში შეუძლებელია. ახლანდელი მთავრობის ბიუჯეტი რომ გავიდეს, ყოველი ინგლისელი კაპიტალისტი იძულებული გახდება ინგლისის ბანკებიდან ფულები გამოიტანოს და საზღვარ გარეთ მოათავსოსო.

**რუსეთი.**

**შეკითხვა გაჩხრეკის შესახებ.** როგორც დუმის კულუარებიდან იტყობინებიან, მემარცხენე ფრაქციები დუმაში შეკითხვის შეტანას აპირებენ მასსიური გაჩხრეკის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში პეტერბურგის სხვა და სხვა რაიონებში ხდება. ხალხი დიდ შეწუხებას განიცდის პოლიციელთა მოულოდნელი სტუმრობისაგან.

**მუშათა საკითხი დუმაში.** მუშათა საკითხის კომისიამ განიხილა მთავრობის პროექტი ავათმყოფობის დროს მუშათა დაზღვევის შესახებ. მთავრობის პროექტი მოითხოვდა დამზღვევი კასები ისეთ საწარმოო დაწესებულებებში დაარსებულიყო, რომელშიაც მუშათა რიცხვი 400 აღემატება. კომისიამ უარყო ეს პროექტი და მიიღო ოქტომბრისტ პროტოპოპოვის წინადადება, რომლის თანახმათ კასების დასაარსებლათ 200 მუშის არსებობაც საკმარისია.

**გაპონის მემკვიდრეობა.** ამ დღეებში გარდაიცვალა გიორგი გაპონის შვილი. „ბირჟ. ვედ.“ სიტყვით გაპონის ქონება უდრის 25,000 მანეთს, რომელიც ლიონის ბანკში ჰქონია მოთავსებული.

**ტუსაღის გაქცევა.** ლოძის ციხიდან გაიქცა ორი ტუსაღი, კრავჩუკი და რადვე. ერთი ტუსაღთაგანი პოლიციის აგენტათ ნამყოფია. ტუსაღები ღამით კანცელარიაში შეიპარენ, ტანისამოსი გამოიცვალეს, ორ ციხის მცველს იარაღი აყარეს და გაიქცენ.

**300 სტუდენტის დათხოვა.** სასწავლო ფულის შეუტანლობის გამო ტომსკის უნივერსიტეტიდან და ტეხნოლოგიური ინსტიტუტიდან დაუთხოვიათ 300 სტუდენტი.

**მემარჯვენეების პროტესტი.** უკიდურესმა მემარჯვენეებმა დუმაში პროტესტი შეიტანეს ხომიაკოვის წინაამდეგ, რომელმაც დეპ. ჩხეიძე არ გააჩერა, როდესაც მან 3 ივნისის აქტს „უდიდესი დანაშაულობა უწოდა“.

**სასკოლო კომისიაში.** თათბირზე, რომელზედაც უნდა შეემუშავებიათ ინოროდცების შკოლის დებულება, მიიწვიეს დეპუტატი ჩხეიძე, გეგეჭკორი, სალათელიანი და ხასმამედოვი. თათბირმა შესაძლებლათ სცნო შემოღებულ იქნას სწავლება ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

## ახალი ამბები

◆ **მოხერხებული შანტაჟი.** შაბათს, 5 დეკემბერს საღამოს 8 საათზე, სომხის არქიეპისკოპოს სატუნიანის ბინაზე ვიღაც ახალგაზრდა უცნობი მივიდა, რომელმაც ეპისკოპოსს გადასცა ბარათი, სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის ს. არუტინოვის მიერ ხელ-მოწერილი, რომელიც ეპ. სატუნიანს 200 მან. ესესხულებოდა. რადგან სატუნიანს 80 მ. მეტი არ ქონდა, მან არხიმანდრიტ ეფრემიდან 120 მანეთი ისესხა და ყველა ეს ფული უცნობს გადასცა. როცა უცნობი წავიდა, ეპისკოპოსმა წერილის სინამდვილეში ეჭვი აიღო და ამის შესახებ არუთინოვის ცოლს ტელეფონით აცნობა, რომელმაც ეპისკოპოს შეატყობინა, რომ მისი ქმარი ს. არუთინოვი 4 დღეა რაც ბაქოში გაემგზავრა.

◆ **მკვლელობა.** 6 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, სურპ-მინასკის შესახვევში ბოროტ-მოქმედებმა „მაუზერის“ რევოლვერის ტყვიით თავში და გულში სასიკვდილოთ დასჭრეს პოლიციელი ხაჩატურ გეურკოვი. ამასთანავე გასრორილმა ტყვიამ უეცრათ მოკლა ქუჩაზე მიმავალი 12 წლის ქალი თფილისის მაზრის მცხოვრები ბ. ვ. ბარჩენაშვილი, რომელიც სურსპ-მინასკის ქუჩაზე ცხოვრობდა. გეურკოვის მკვლელობა პირად ინტერესით არის გამოწვეული. ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

◆ **კავკასიის ნამესტნიკათ ნამყოფ** გადაცვალებულ დიდი მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სულის მოსახსენებლათ გუშინ ქალაქის გამგეობის შენობაში, მთელი ქალაქის მოსამსახურეთა თანდასწრებით, გადახდილ იქნა პანაშვიდი.

◆ **გუბერნატორმა დაამტკიცა ხორცზე ნიხრი.** ძროხის ხორცი: 11 კაპ., ცხვრის—12 კაპ., კამეჩის—7 კაპ. ღორის ხორცი—13 კაპ. ღორის ხორცი უტყავო—14.

◆ **იურიდიული საზოგადოების წევრთა კრება** პარასკევს, 4 დეკემბერს, სხდგა. კრებას 18 წევრი დაესწრო. ვექილმა გ. გვაზავამ წაიკითხა რეფერატი: „ლომბროზო და მისი თეორია სისხლის სამართლის საქმეში“. რეფერატიდან გამოირკვა: ლომბროზოს აზრით დამნაშავენი იბადებიან. ეხება რა ადამიანის აგებულების სულიერ, ფიზიოლოგიურ და ანატომიურ მხარეებს, ლომბროზო ამტკიცებს, რომ ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობის გამოკვლევით, წინ და წინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესა თუ ის ადამიანი დანაშაულს ჩაიდენს, თუმც ჯერ დანაშაული ჩადენილიც არ ქონდეს. ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია ზომები მიიღოს დანაშაულის ჩადენის წინაამდეგ. რეფერატმა დიდი კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს. ს. ჯაფარიძემ, იოანესიანცმა, ბაევმა და სხვებმა. ბაევმა სთქვა: დღევანდელი სამსჯავრო უნდა შეიცვალოს. მასში მონაწილეობა ექიმებმა უნდა მიიღოს, რადგან დამნაშავის სულიერ მდგომარეობას ისე ღრმათ ვერ გაიცნობს იურისტი, როგორც ექიმიო.

◆ **ე. თოფჩიანის ოჯახის უზრუნველყოფა.** კონსტანტინოპოლის სომხური გაზეთები გვაცნობებენ, რომ თოფჩიანის მკვლელი აბეტი კარინის ციხიდან გაქცეულა და დღეს საზღვარ გარეთ იმყოფება. კარინის ქალაქის თვითმართველობას დაუდგენია, თოფჩიანის ოჯახობას ყოველთვიური პენსია აძლიოს. ე. თოფჩიანი იქ ოლქის სკოლების ინსპექტორათ ითვლებოდა. შემგარა კომისია, რომელიც ადგენს ფონდს თოფჩიანის შვილების აღსაზრდელათ. (ზ. ვ.).

◆ **საქონლის ბირჟა ბათუმში.** როგორც პეტერბურგის სააგენტო დეპეშემ გადმოგვცემს, ვაჭრობის სამინისტრომ წინადადება შეიტანა მინისტრთა საბჭოში საქონლის ბირჟის დაარსების შესახებ ქ. ბათუმში.

◆ **პენსია ბოქაულის ოჯახს.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 1075 მ. პენსია დაუნიშნა სამსახურში მოკლულ თფილისის ბოქაულის კ. სნიტკოს ოჯახს.

◆ **ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიის სხდომა** მოხდება, ოთხშაბათს, 9 დეკემბერს. კომისიას გასარჩევი აქვს ბევრი კითხვები, რაც კარგა ხანია ქალაქის გამგეობის მიერ გადაცემულია და ამ დრომდე გაურჩეველი დარჩენილა.

◆ **თფილისში ჩამოვიდა** ქუთაისის ქალაქის თავი დ. ა. ლორთქიფანიძე, რომელიც ნამესტნიკს ქალაქ ქუთაისის თვითმართველობის შუამდგომლობას წარუდგენს ქუთაისში სახელმწიფო ბანკის განყოფილების დაარსების შესახებ, ქალაქზე დარჩენილ საპოლიციო გადასახადების პატიებისა და ქალაქის წყლის საყვანის საქმეების და სხ. სამინისტროში წასადგენათ დაჩქარების შესახებ.

◆ **პროფესორი მარრის თხზულება.** სამეცნიერო აკადემიას დაუდგენია დაბეჭდოს და გამოსცეს პროფ. მარრის წიგნი: „სომხური საისტორიო მასალები“.

◆ **ახალი წიგნი** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი—„კოოპერაცია“—შედგენილი კ. პ. კანდელაკის მიერ. წიგნი შეიცავს 173 გვერდს და სუფთათ გამოცემულია. ღირს 35 კ.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში კ. ვ. სტრატონოვის მე-4 წიგნი „Солнце“.

◆ **ქართული თეატრი.** ქართული დრამატიული დასი ამზადებს ახალ, ს. გლახაშვილის ორიგინალურ პიესას „წყურვილი“-ს. ამ პიესისათვის საგანგებოთ მოწვეულია მხატვარი, ხატავს სპეციალურ დეკორაციებს. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

◆ **დ. ჩოხატაურიდან გვწერენ:** იქ ჩასულა მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. ქართველიშვილი. მოითხოვა გადასახადები—მიწის ბაჟები და საეროზო გადასახადი. როგორც გამოირკვა, მემამულეებს არ აქვთ გადახდილი 3—6 წლის. ზოგს 50 მან., ზოგს—100 მ. ზოგს 300 მ. და მეტიც. სოფლათ ისეთი გაჭივრებაა, რომ ფულის შოვნა არ შეიძლება. მოჰყავთ ოჯახებიდან პირუტყვები, მოაქვთ ნივთები და ხშირათ აუსაღებენ თვით გადამხდელებს. მემამულ. ხერხს მიმართეს—„ბატონო, ეუბნებიან ისინი მაზრის უფროსს,—თუმცა „ოკლადნოი ლისტი“ ჩვენ სახელზეა, მარა მიწებით გლეხები სარგებლობენ; დიდ-ძალი მიწები მათ (გლეხებმა) შეიძინეს და მათ გადაახდევინეთო!!. ასე ახდევინებენ გლეხებს ვარლამ ერისთვის მიწის ბაჟს, რომელიც უდრის 500 მ.

ფულის მიღების ბარათებს კი მემამულეებს აძლევენ. გლეხებს არავითარი საბუთი არ აქვთ ხელში, რომ საქმე გაასაჩივრონ. გუშინ ჩოხატაურის ვაჭრებმა, რომლებსაც ძალით გიორგი და დავით ერისთვის მემკვიდრეების მაგიერ ახდევინებენ, ტელეგრამმა გაუგზავნეს ბ. გუბერნატორს. ჯერ პასუხი არაა.

◆ **ცეცხლი.** 6 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, სერებრიანი ქუჩაზე ბ. გ. პარნახოვას სახლს ცეცხლი გაუჩნდა, ცეცხლის მქრობელ რაზმმა ცეცხლი ჩააქრო. ზარალი 200 მ. აღემატება. პარნახოვის სახლი დაზღვეულია.

◆ **შეპყრობა.** 4—5 დეკემბერს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი და [illegible] დაბრუნებულნი შემდეგი პირები: ქუთ. მაზ. მცხოვრები პ. გ. გეორგაძე, გორის მაზრის მცხოვრები ივ. ზ. სოხაშვილი. შეპყრობილთ სამართალში აძლევენ.

## ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი ქუთაისში

(საკ. კორესპონდენტისაგან)

მიუხედავათ იმისა, რომ ქუთაისმა ძლიერ გვიან გამოიწყონ ნ. გაბუნია-ცაგარლის საიუბილეო დღესასწაულისათვის მზადება და დრამატიული საზოგადოების გამგეობამაც მუშებ-ნოქრებისათვის არა ხელსაყრელი საქმი დღე აირჩია, ქალაქის თეატრში 3 დეკემბერს გამართულმა საიუბილეო დღესასწაულმა მრავალი საზოგადოება მიიზიდა. თეატრი მორთული იყო ყვავილებით და დაფნის გვირგვინებით. პირველათ მიულოცა, ადრესი წაუკითხა ქუთ. ქართ. დრამატიული საზოგადოების გამგეობის სახელით და ვერცხლის სერვიზი მიართვა იუბილიარს ქ-ნ მარ. გ. ანჯაფარიძისამ, შემდეგ წარსდგინ და ადრესი წაუკითხეს შემდეგმა დეპუტაციებმა: ქალაქის თვითმართველობის, ქართული დრამატიული დასის, ქალთა წრის, წერა-კითხვის გამავრც. საზ. ქუთაისის განყოფილების, სახალხო უნივერსიტეტის, ბაღდათის საზოგადოების, ქართული გიმნაზიის, ნოქარ-მუშების, საურთიერთო ბანკის, სათავად-აზნაურო ბანკის სახელით, 100 მანეთი მიართვა საჩუქრათ ივ. ნიჟარაძემ, ვექილების, ექიმების, „ფონის“ რედაქციის. ადრესები და სიტყვები წაუკითხეს და წარმოსთქვეს კერძო პირებმაც: დავ. კლდიაშვილმა, ილია ბახტაძემ და დ. მესხმა, ქ-ნ დავითაშვილმა, კონ. ი. ნიკოლაძემ (მოკლე ლექსი); დავით პეშტმანჯიანცმა, ქ-ნ ნატალია გიგაურმა... მილოცვების გათავების შემდეგ თვით იუბილიარმა ნატალია ცაგარლისამ მიმართა საზოგადოებას მოკლე სიტყვით, ულრმესი მადლობა გადაუხადა პატივისმცემლებს და აღუთქვა კვლავაც ენერგიული მოღვაწეობის განგრძობა სასცენო ასპარეზზე.

დღესასწაულის მეორე და მესამე განყოფილებებში ჩვეულებრივი მომხიბვლელი თამაშით ჩაატარა იუბილიარმა „ფროშარისა“ და „ხანუმას“ როლები. დასასრულ გაიმართა აპოთეოზი. საზოგადოებამ ცხარე ტაშის ცემით და „ვაშას“ ძახილით დააჯილდოვა იუბილიარი. მოგვყავს აქვე ნოქრებ-მუშების სახელით გ. მუმლაძის მიერ წაკითხული ადრესი:

„მაღალი ნიჭით დაჯილდოვებულო მსა-

---

მოლაპარაკე ორატორებმა. ერთი სიტყვით, ყველა თანახმაა, რომ მართლმსაჯულება მოითხოვს. რათა სამართალს ქმნიდეს ადგილობრივი კაცი, რადგან მას უფრო ეადვილება ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულების, ტრადიციის, ადგილობრივი ცხოვრების თავისებურობის გათვალისწინება. გარეშე ამ პირობებისა არ არის სამართალი, არ არსებობს მართლ-მსაჯულება. ასე ლაპარაკობდენ დღეს აქ.

ავიჰყურვეთ რა ამ რიგათ ასეთის საბუთით ანუ ასეთის კრიტერიუმით, ნებას მივცემთ თავს ვკითხოთ, რამდენათ აკმაყოფილებს ამ არსებით მოთხოვნილებას სასამართლო კავკასიაში.

ჯერ მოგიყვანთ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორი იყო სასამართლო კავკასიაში, როცა ის ახლათ შემოიღეს იქ. როგორ შეხვდა მას ხალხი. ცნობებს ამოვკრებ მე წყაროდან, რომელიც დამყარებულია თვით ნამესტნიკის არხივის ოფიციალურ დოკუმენტებზე. (კითხულობს), „უეჭველია, ახალ სამსჯავროს ბევრი უპირატესობა ქონდა. შედარებით იმ ადმინისტრატიულ—სამსჯავრო სისტემასთან, რომელიც მანამდე არსებობდა. მიუხედავათ ამისა, ახალმა დაწესებულებამ ბევრი უკმაყოფილება გამოიწვია.“

„უკმაყოფილება გამოიწვია ხანგრძლივმა ვადებმა, რომელთა მიხედვით ირჩეოდა ხოლმე საქმეები, რადგან ხალხი არ იყო მიჩვეული საქმის ასეთ ხანგრძლივობას და ფორმალობას. ასეთი გაჭიანურება საქმის ხელს აღებინებდა კაცს მართლ-მსაჯულების, სამართლის ძიებაზე. ოღონდ თავიდან აიცდინოს დაუსრულებელი ხეტიალი სასამართლოში და ხშირათ მზათაა ადგილობრივი მცხოვრები საქმე მორიგებით გაათავოს, თუნდა ასეთი ბოლო საზარალოც იყოს მართალი მხარესთვის. უძირითადესი გარანტიები, როგორც მაგ. ამორჩევა მსაჯულის და ისიც მოკლე ვადით და ასეთები, რომელნიც სწარმოებდენ შიდა გუბერნიებში, კავკასიას არ მისცეს! შემდეგ აქვე ვკითხულობთ: „ჩვენებურმა (ესე იგი კავკასიელმა) მსაჯულებმა, რომელნიც არც პირადი ღირსებით და თვისებებით, არც თავისი შეხედულებით, არც სამსახურით, არც ზნეობრივი ფიზიონომიით და საზოგადო განათლებით თავი არ უჩენიათ ყველებრივ „ჩინოვნიკურ“ წრეში, რომელშიც ისინი აღზრდილან და საიდანაც მომდინარეობენ, თავისი მდგომარეობის გამო გამოიჩინეს არა მცირედი თვითნებობა.“

ასე ახასიათებს ოფიციალური დოკუმენტი იმ დროინდელ მსაჯულებს.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ამიტომაც, კანონიერია ვიკითხოთ, შეიცვალა თუ არა მას შემდგ კავკასიაში ადგილობრივი საჭიროებისამებრ სასამართლო, მოეწყო თუ არა ეს დაწესებულება ისე, როგორც ამას მოითხოვთ თქვენ ამ ტრიბუნიდან.

აი იმის პასუხიც.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რა უნდა მოვითხოვოთ უპირველესად ყოვლისა მსაჯულისაგან. მსაჯულს და მისდა მიმართ მისულ სამართლის მაძიებელს, ერთმანერთის უნდა გაეგებოდეს.

ახლა მოისმინეთ შემდეგი ცნობა: „დიდს საფრთხეს წარმოადგენს, როგორც ამას მოწმობენ მომჩივან-მოპასუხეები და თვით მსაჯულებიც, თარჯიმნები ან მდივნის თანაშემწეები, რომლებიც ასრულებენ თარჯიმნის თანამდებობას. მსაჯულთა უმეტესობას ადგილობრივი ენები არ გაეგებათ. მათ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იციან ხოლმე ადგილობრივი ენიდან. ამიტომაც, თარჯიმნებს მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვთ მართლმსაჯულების საქმეში, ხშირათ მართლმსაჯულების შემდეგი სვსვებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადასცემს მოწმის ნათქვამს თარჯიმანი, ასე რომ, თარჯიმანის ამორჩევა ძლიერ დიდი საქმეა.“

სამწუხაროთ, ძლიერ ხშირათ გაისმის თარჯიმნების ბოროტ-მოქმედებაზე. ხშირათ გაიგონებთ, რომ საჩივრის ასე თუ ისე დაბოლოვება დამოკიდებულია თარჯიმნის დაქთამვაზე.“ ეს ცნობები ამოკრეფილია. ყოველივე ამას მოწმობს ბაქოს გუბერნიის შესახებ სენატორი კუზმინსკი. იმასვე მოწმობს ყველა, ვინც კი ცნობს საქმეს. ესევე ითქმის სულ კავკასიაზე.

დაუმატეთ ახლა ამას ისიც, რომ თარჯიმანმა ხშირათ რუსულთან, ადგილობრივი ენაც არ იცის ხეირიანათ და ადვილათ წარმოიდგენთ, რამდენათ გაადვილებულია კავკასიაში, რომ მსაჯულმა და გასასამართლებელმა ერთი-მეორესი გაიგონ.

შემდეგ ჩვენ აქ გვითხრეს: სამართალი უნდა სწრაფი იყოსო.

მოისმინეთ ამის შესახებაც, რას ამბობს ბაქოს გუბერნიის რევიზიის ანგარიში: „აქაური სასამართლო სრულებითაც ვერ ჩაითვლება მსწრაფლ-მომქმედათ. ყველგან და ძლიერ ხშირათაც, გაისმის საქმის დაუსრულებლობის და გაჭიანურების შესახებ.

აქვე აგვიხსნეს დღეს, რომ მსაჯული უნდა იყოს სჯულის საუკეთესო მცოდნე.

მოისმინეთ რამდენათ მცოდნე არიან ჩვენებური მსაჯულები იმ სჯულისა, რომლის დაგვარათ უნდა მართლმსაჯულებდენ ისინი კავკასიაში.

გავეცანი რა, ამბობს სენატორი კუზმინსკი, უქვეშევრდომილეს მოხსენებაში, მომრიგებელ მსაჯულთა დადგენილებას ბაქოს გუბერნიაში, დავინახე, რომ უმეტესი ნაწილი მათგანი ძლიერ ნაკლებათ იცნობს ნივთიერ და ფორმალურ მხარეს სამოქალაქო უფლებისას. ძლიერ ცოტანი აქცევენ თვალყურს სენატის პრაქტიკას და სხვ...

„საზოგადოთ“, დაასკვნის სენატორი, „რევიზიის ცნობების თანხმათ უნდა აღვნიშნოთ სამწუხაროთ, რომ აქ სასამართლო დაწესებულებებს, მიუხედავათ მათი 35 წლის არსებობისა, დღემდის ვერ მოუპოვებიათ ხალხის ნდობა და სიმპატია“.

თქვენ შეიძლება იცოდეთ, რომ კავკასიის სასამართლოების რეფორმის საჭიროებას ერთ დროს სცნობდა კავკასიის ნამესტნიკი.

**თავმჯდომარე.** სახელმწიფო დუმის წევრო ჩხეიძე, ნება მიბოძეთ გთხოვოთ, რომ მაგ კითხვას არ შეეხოთ.

**ჩხეიძე.** მე ეს უნდა აღვნიშნო, რადგან, ვამბობ, ნამესტნიკი იმ აზრისა იყო, რომ კავკასიაში სასამართლოს რეფორმა საჭიროა.

**თავმჯდომარე.** კი, მაგრამ ახლა ლაპარაკი ადგილობრივი სასამართლოს რეფორმაზე და არა ნამესტნიკის პროექტზე.

**ჩხეიძე.** თუ მე ამის ნება არ მეძლევა, მაშინ მე გამოვხატავ კავკასიის ხალხის სურვილს, თუ როგორი სასამართლო უნდა მას.

რაკი სახელმწიფო სათათბიროში აღძრულია კითხვა, რომლის უდიდეს მნიშვნელობას ყველა აღიარებს და ამავე დროს მთელ მხარეს, ცხრა მილიონი მცხოვრებით, განზე ისვრიან, ვგონებ, მომენტი მოითხოვს და ადგილიც უნდა იქნეს, თუ მე მოკლეთ მაინც გამოვხატავ, რა სურს კავკასიის ხალხს ამ შემთხვევაში (ტაში მარცხნივ).

აი მაგალითათ, რას ამბობენ თავის პეტიციაში კავკასიის მუსულმანები.

**თავმჯდომარე.** სახელმწიფო დუმის წევრო ჩხეიძე, თუ თქვენ გნებავთ ისარგებლოთ კანონმდებლობითი ინიციატივით, შეგიძლიათ შემოიტანოთ ახალი კანონ-პროექტი, მაგრამ ახალი კითხვის გარჩევა გზადაგზა ამ კანონ-პროექტიდან შეუძლებელია.

**ჩხეიძე.** აღვნიშნავ რა სრულს უყურადღებობას კავკასიის საკითხის შესახებ, მე იძულებული ვარ გავათავო აი რით:

უფ. იუსტიციის მინისტრმა სთქვა ამას წინეთ, რომ ჩვენში ფემიდამ თვალთ სახვევი მოიხსნა და თვალ-ხილული გახდაო.

მე მეტს ვიტყვი: კავკასიაში ფემიდა არამც თუ თვალხილული გახდა, ის გახდა ტლანქი გამრუსებელი და გამრუსებელი პოლიტიკა სასამართლოებში დიდ ხმარებაში იყო აქამდის და არის დღესაც მთელ კავკასიაში.

ამიტომაც უნებლიეთ იბადება კითხვა: როდის-ღა ექნება ნამდვილი სასამართლო და ნამდვილი მართლმსაჯულება კავკასიას, ყველა განაპირა ქვეყნებს, მთელ რუსეთს?

მე მგონია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ყველა რუსეთის ხალხები დაგდებენ უკანასკნელ მსჯავრს თქვენც და ქვეყნის დღევანდელ გამგეებსაც. აი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ლაპარაკი ნამდვილ სასამართლოზე რუსეთში (ტაში მარცხნივ).

ხიობო ნატო! იმ დროს, როდესაც ჩვენ ნორჩ, ახალგაზდა სცენაზე ფეხი შესდგით და ამით საზოგადო ასპარეზზე გამოდით სამოქმედოთ,—არამც თუ დედაკაცები, მამაკაცებიც კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას ატარებდენ. დედაკაცის სცენაზე გამოსვლა ხომ სათაკილო, დასაგმობ მოქმედებას წარმოადგენდა, არამც თუ მდაბიო ხალხის,—თვით მაღალ წოდების წარმომადგენლების თვალშიაც კი. შენ შეურიგდი ასეთ პირობებს, არრად ჩააგდე თვით ღვიძლი მშობლების გაკიცხვა და მოურიდებლათ შეუდექი ეკლიანი გზით მსვლელობას,—სასცენო ასპარეზზე მოღვაწეობას. ეს რთული საქმე იკისრე შენ სხვებთან ერთად და აგერ სრული 30 წელიწადია, რაც მოღვაწეობ სამშობლო სცენაზე. შენი ნიჭიერი, მომხიბლავი თამაშით მრავალჯერ დაგიტკბია მსმენელნი; შენი დაუღალავი შრომა, ენერგია, საზოგადო მოღვაწეობა მისაბაძ მაგალითათ შეიქნა არა მარტო ქალთა წრეებში, თვით მამაკაცებშიაც კი. მადლიერი შენი მშობელი ერი დღეს აქ შეკრებილა თავიანთ წარმომადგენელთა სახით, რათა მადლობა გიძღვნას სამშობლოსადმი უანგარო სამსახურისათვის...

ჩვენც, მუშებთან ერთათ, ნოქრებიც გილოცავთ, საყვარელო იუბილიარო ამ ეროვნულ დღესასწაულს, გისურვებთ მრავალ ჟამიერ სიცოცხლეს სამშობლო სცენის სასამსახუროდ.

ვაშა შენს სახელს სასიქადულო მსახიობო, მშვენებავ და სიამაყევ ჩვენი გამოღვიძების გზაზე დამდგარ სცენისა!“

ვ. ობ.

## ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წლიური საზოგადო კრება.

კვირას, 6 დეკემბერს, სამეურნეო ბანკში, შესდგა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წლიური საზოგადო კრება. თავმჯდომარეობს საზოგადოების გამგეობის წევრი დ. კარიჭაშვილი. პირველათ თავმჯდომარემ კრებას აცნობა საზოგადოების ოთხი წევრის გარდაცვალება, რომელთა ხსოვნას კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა და დაადგინა: გაეგზავნოს უარდროპის ძმას ინგლისში თანაგრძნობის დეპეშა. საზოგადოების მდივანი ს. ფირცხალავა კითხულობს 1908 წლის საზოგადოების საგანგებო კრების ოქმს.

**ირ. რამიშვილი.** ზოგი ჩემი სიტყვები სრულიათ არ არის ოქმში მოხსენებული.

**თავმჯდ.** უმნიშვნელო სიტყვები ოქმში არ შეაქვთ.

**ირ. რამიშვილი.** იმიტომ, რომ ჩემი სიტყვები ქურდობას ეხებოდა.

**თავმჯდ.** თქვენი სიტყვები ჩაწერილი იქნება.

კრება ოქმს ამტკიცებს. გამგეობის მდივანი კითხულობს სარევიზიო კომისიის და გამგეობის წიგნის მაღაზიის რევიზიის შესახებ და გამგეობის მოხსენებას სამუზეუმო შენობის აგების შესახებ.

**თავმჯდ.** განსახილველია 1908 წლის ანგარიში. გსურთ, მთლათ წავიკითხოთ ანგარიში. ხმები—არა, წაკითხული გვაქვს.

**თავმჯდ.** საჭიროა ლაპარაკის წესრიგი. ვილაპარაკოთ ანგარიშის ნაწილ-ნაწილათ განხილვაზე თუ, საერთოთ მთელ ანგარიშზე.

**ან. ღულაძე.** წესრიგის წარმოდგენა თვითონ თავმჯდომარის საქმეა.

**ნ. ჭიჭინიძე.** მე არ ვეთანხმები ბ. ღულაძის აზრს და შევეხები ანგარიშს საერთოთ. როდესაც საზოგადოების ანგარიშებს კითხულობ, ყოველთვის ერთგვარ შაბლონურ სახეს ამჩნევ მასში: გამგეობა შესდგება ამდენ-ამდენ პირისაგან, თავმჯდომარეობს ესა და ეს, მომხდარა ამდენი და ამდენი სხდომა, ამათ შორის გაურჩევიათ ამდენი, გადაუდვიათ ამდენიო და სხვა. არას დროს არა არის ნაჩვენები, თუ რა საქმე, რა ხასიათის საქმე იყო გარჩეული, მოიყვანა თუ არა გამგეობამ საზ. კრების დადგენილებები სისრულეში და თუ მოიყვანა, რამდენი. რამდენჯერ თქმულა, რომ უხერხულია გამგეობის წევრი იმავე დროს საზოგადოების კრებებს თავმჯდომარეობდეს, მაგრამ გამგეობას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მას რომ შეემუშავებია წესდება—ეს არ მოხდებოდა. გამგეობისათვის ბევრჯერ გვითქვამს, რომ საწევრო ფული 3 მ. შემცირებულიყო, რომ საზოგადოებას წევრები შემატებოდა, მაგრამ გამგეობას ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ამიტომ საზოგადოების წევრთა რიცხვიც შესამჩნევათ შემცირებულა. გადაავლეთ თვალი სკოლების რევიზიას. ბ. ა. ყიფშიძე კავკავის სკოლის სარევიზიოთ მხოლოდ 21 მაისს წასულა და ჩასულა 23, როდესაც სკოლაში სწავლა და ეგზამენები უკვე დამთავრებული ყოფილა. წარმოიდგინეთ, გამგეობას ისიც არ სცოდნია, სკოლაში სწავლა როდის იწყება და როდის თავდება. ტყუილ უბრალოთ კი დრო და ფულიც იხარჯება. სარევიზიო კომისიის მოხსენება მოვისმინეთ; მოვისმინეთ ისიც, რომ საზ. მაღაზიიდან 5,000 მ. სალირალი ფულით და წიგნებით გაუფლანგავთ. მადლობას მოგახსენებთ ამისთვის, რომ გაგვაგებინეთ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ვერ გაგვიგია, რა დროს გაიფლანგა ეს ქონება და ფული, სადაა დასაწყისი ამ ბოროტ-მოქმედებისა არ ვიცი. კომისიის დადგენილება ყოველთვის შაბლონური და გამოურკვეველია, ამასვე ვამჩნევთ გამგეობის მოხსენებაშიაც. ეს არის მათი უმოქმედობა, დაუდევრობა, საზოგადოების აბუჩათ აგდება. მაშასადამე, ანგარიშის დამტკიცებაც არ შეიძლება მანამდის, სანამ ნათლათ არ გამოირკვევა საქმის ყოველმხრივი მდგომარეობა. წინადადებას ვაძლევ კრებას აირჩიოს კომისია 3 პირისაგან, რომელშიაც არ უნდა შედიოდეს გამგეობის არც ერთი წევრი, არჩეული კომისია რევიზიას მოახდენს საზოგადოების საქმეთა ყოველ-გვარ დარგში ის მოხსენებას წარმოუდგენს საზოგადო კრებას და მხოლოდ ამის შემდეგ ვიქონიოთ მსჯელობა ანგარიშის განხილვა-დამტკიცებაზე.

**ს. ფირცხალავა.** მე მინდა ბ. ჭიჭინაძის სიტყვაში რამდენიმე ფაქტიური შესწორება შევიტანო. გამგეობა საზოგადოების დადგენილებას ყოველთვის ასრულებდა. საზოგადოების წევრთა რიცხვმა იკლო, მართალია, მაგრამ შედარებით წინა წლებთან ახლა შემოსავალი მეტია.

**ირ. რამიშვილი.** საზოგადოების მაღაზიიდან ფულების გაფლანგვა შ. ქუჩუკაშვილს ბრალდება უმთავრესათ. ქურდობა აშკარაა, მაგრამ ქუჩუკაშვილს ჰყავს თავისი პირდაპირი უფროსი, ხელმძღვანელი—მდივანი. სკოლების რევიზორებს ერთი შემუშავებული სარევიზიო პროგრამა არ აქვთ. მათი რევიზიები ერთი მეორის საწინააღმდეგოთ განსხვავდებიან. გამგეობას ამაშიაც დაუდევრობა ემჩნევა.

**ა. ღულაძე.** ნ. ჭიჭინაძეს ბევრში ვეთანხმები, მაგრამ მე, როგორც სარევიზიო კომისიის წევრმა, შევასრულე დავალება და არა ის, რაც დავალებული არ მქონებია, მე არ მქონდა დავალებული საზოგადოების ყველა ქონება შემემოწმებია.

**ივ. კაჩუხოვი.** სასურველია სარევიზიო კომისიის ან გამგეობის წევრმა შემდეგ ილაპარაკოს. ბ. ს. ფირცხალავა ამბობს, რომ საზოგადოების წევრთა რიცხვი შემცირდა, მიზეზი ფულის შემოუტანლობაა. დიახ, ფული ვერ გადაიხადეს, ვერ შესძლეს 3 მ. გადახდა და აი, ამას გეუბნებით ჩვენც, გეუბნებოდით, რომ საწევრო ფული შემცირებულიყო და წევრთა რიცხვიც მოიმატებდა. გამგეობა სარევიზიო კომისიას ირჩევს, ბოროტ მოქმედებას არკვევს, ბ. მდივნის საქმეებს რევიზიას უკეთებს და ამ კომისიაში თვით მდივანს ირჩევს, რომელიც თავის საქმეებს თვითონ უკეთებს რევიზიას. ეს შეცდომაა, ეს ასე არსად არ ხდება. დაიკარგა წიგნები, ეს მოხდა გამგეობის დაუდევრობით. არსებობს გამგეობა, რომლის კანტროლის ქვეშ იმყოფება საზოგადოების საქმეები. გამგეობა საქმეებს თვალ-ყურს არ ადევნებს, კანტროლის ქვეშ არ ატარებს და ხდება ქურდობა, ვინ უნდა აანაზღაუროს საზოგადოების ზარალი? აშკარაა, იმან, ვინც ფაქტიურათ ქურდობა ჩაიდინა და იმანაც, ვინც საქმეებს თვალ-ყურს არ ადევნებდა—მდივანსაც და გამგეობასაც. საჭიროა აირჩეს საგანგებო კომისია, რომელიც გამოარკვევს მთელი საქმეების ვითარებას, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ანგარიშის დამტკიცებაზე ლაპარაკი. მანამ ანგარიშის დამტკიცება არ შეიძლება.

**ტყავაძე.** გამგეობის დანაშაულობაა ისიც, რომ წიგნის მაღაზიის რევიზიის შემდეგ ქუჩუკაშვილი კიდევ მსახურებდა ამღაზიაში. კომისიის არჩევის შესახებ ბ. ტყავაძე ეთანხმება ჭიჭინაძის და კაჩუხოვის აზრს.

**ს. მაჭავარიანი.** ბოროტ-მოქმედება არსებობს. უნდა ვიცოდეთ, საიდან იწყება ეს ბოროტ-მოქმედება, თუ სადა აქვს დასაწყისი, ვინ ჩაიდინა ის. გვითხრეს, ვინც არის ბოროტების ჩამდენი, გამგეობამ ეს აღმოაჩინა, საჭიროა ანგარიშის მუხლობრივ განხილვას შევუდგეთ.

**ქ. ქავთარაძე.** არც გამგეობას და არც სარევიზიო კომისიას არ უთქვამს ჩვენთვის, თუ რომელი გამგეობის დროს მოხდა ეს ბოროტ-მოქმედება.

**დ. ხარტიშვილი.** ბოროტ-მოქმედებაში ქუჩუკაშვილის გარდა მდივანსაც და გამგეობასაც წილი მიუძღვის, სუყველა დასათხოვია.

**დ. ლორთქიფანიძე.** ყოველ შედეგს თავის მიზეზი აქვს. საზოგადოების წევრთა რიცხვი შემცირდა. რატომ? იმიტომ, რომ ზოგიერთებმა ფულის გადახდა მთლათ ვერ შეძლეს. ჩვენს საზოგადოებას ქ. შ. წ. გ. საზოგადოება ეწოდება, ესე იგი ყველა ქართველთა საზოგადოების და არა მდიდარ ქართველთა საზოგადოების მარტო. შეამცირეთ საწევრო გადასახადი და მაშინ ყველას შეგვეძლება საზოგადოების წევრობა. რაც შეეხება გამგეობას, პირადათ მე ვუმადლი მას, რომ ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა, მარა საგანგებო კომისიის არჩევა საჭიროა, რომ კარგათ გავიგოთ დასაწყისი ამ ბოროტებისა.

**ნ. ჭიჭინაძე.** გამგეობისადმი მადლობის, ან საყვედურის თქმა არ შეიძლება მანამ, სანამ ნათლათ არ გაგვიგია საქმის ყოველმხრივი მდგომარეობა.

**ს. მაჭავარიანი** წინააღმდეგია საგანგებო კომისიის არჩევისა; ის ამბობს, კომისიის არჩევა, იგივე უნდობლობაა გამგეობისადმიო, რომელმაც ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა და დამნაშავე პირებზედაც მიგვითითაო.

**ნ. ელიავა.** საგანგებო კომისიის არჩევა არავისათვის საწყენი არ უნდა იყოს. ის გამოარკვევს ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა გამგეობათა მოქმედებას და საქმეზე ნათელი წარმოდგენა გვექნება. აქ აშკარათ ლაპარაკობენ შ. ქუჩუკაშვილის ქურდობაზე. მე მგონია, ამაზე ასე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ქუჩუკაშვილი ხანდახან ქალაქიდან გადიოდა სხვადასხვა საქმეებისათვის, ერთხანს ციხეშიაც იჯდა, მისი იქ არ ყოფნის დროს, შესაძლებელია, მისდაუნებურათ დაიკარგა წიგნები, ნივთები. მეც ვიყავი ერთ დროს გამგეობის წევრი, ვიცი, რომ ჩემს დროსაც გამგეობაში იყო დაუდევრობა, ბევრი საქმეები შეუსრულებელი რჩებოდა, უცოდველი არც ახლანდელი გამგეობაა. მომხრე ვარ იმისი, რომ საგანგებო კომისია აირჩეს საქმის ნათლათ გამოსარკვევათ.

**ფ. გოგიჩაიშვილი.** გამგეობამ თავისი ვალდებულება შეასრულა. რაც მოხდა, ნათლათ წარმოგიდგინათ და დამნაშავე პირებზედაც მიგითითათ. სთქვა, რომ შ. ქუჩუკაშვილს უფრო დანაშაული მიუძღვის, მაგრამ დაუდევრობის გამო დამნაშავეთ მდივანიც იქნა აღიარებული, როგორც საქმის ხელმძღვანელი. აი ჩვენი დადგენილება მოკლეთ. თქვენ გინდათ საგანგებო კომისია აირჩიოთ, მაგის თანახმა არა ვარ. გეტყვით, რომ 1904 წლიდან, ვიდრე 1908 წლამდე ხეირიანი არც რევიზია ყოფილა და არც სხდომები. მიზეზი—რევოლიუციონური მოძრაობა იყო, რომელიც ხელს გვიშლიდა. ამის მიზეზით 1903 წ. არჩეულ სარევიზიო კომისიას რევიზია არ მოუხდენია, მაშასადამე, ამ დროს განმავლობაში, თქმა არ უნდა, საზოგადოების საქმეები რიგიანათ ვერ იწარმოებდა. ჩადენილ ბოროტმოქმედების დამნაშავეებზე მიგითითებთ, მაშასადამე, პასუხის-მგებლებიც საზოგადოების წინაშე ვინც არიან, თქვენც იცით. წინადადებას ვიძლევი შევუდგეთ ანგარიშის განხილვას.

წინადადებას კენჭი უყარეს: 35 ხმით, წინააღმდეგ 15 მიღებულ იქნა ბ. გოგიჩაიშვილის წინადადება.

ამით გათავდა კრების პირველი სხდომა. დანარჩენი კითხვების გარჩევა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის. თუ რა დღეს მოხდება შემდეგი სხდომა—გამოცხადებული იქნება გაზეთში.

## საპროტესტო წერილი

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩვენს სამართლიან პროტესტს დრამატიული საზოგადოების გამგეობის წინააღმდეგ თქვენს პატივცემულ გაზეთში. გამოჩნდენ თითო-ოროლა პირები, რომლებმაც პირადი ანგარიშებით მოინდომეს მუშების გამორეკვა სახ. სახლიდან. ჩვენ, დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მივიღეთ მონაწილეობა, რომ თავი დაგვეცვა, სხვა გზას მივმართეთ, მარა არ გასჭრა. ჯერი მიდგა დრ. საზოგადოების გამგეობის მართლმსაჯულებაზე. მას უნდა გადაეწყვიტა ვის ექნებოდა დღეები სახალხო სახლში—ანტიდემოკრატიულ წრეს, თუ არსებულ სექციას, რომელიც საუცხოვოთ ასრულებდა თავის დანიშნულებას. მასაც მივაწოდეთ ჩვენი შეხედულება ამ კითხვის შესახებ შეძლების და გვარათ: ველოდით მათ გადაწყვეტილებას და აი, „მომავალის“ № 72-ში ვკითხულობთ: მაიმულ-მოკიბულ რეზოლიუციას, სადაც აპანდურებენ ძველ სექციას, მაშასადამე, ჩვენც მის დამცველებს, სრულიად დაუმსახურებლათ. არ გასჭრა ჩვენმა განცხადებებმა, გვერეკებიან სახალხო სახლიდან ამ ერთათ ერთ თავშესაფარიდან. უველა ამას სჩადის დრ. საზოგადოების გამგეობა!

თუმცა უველა ეს ჩვენ ბუნებრივათ მიგვაჩნია, მით უმეტეს, იმ პირებისაგან, რომლებიც შედიან დრ. საზოგადოების გამგეობაში, მარა არ შეგვიძლია სასტიკი პროტესტი არ გამოვუცხადოთ დრამატიულ საზოგადოებას თუ მის უგანასკნელ გადაწყვეტილებას უკან არ წაიღებს.

ხელს აწერს რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოს 60 მუშა *).

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** შაბათს, 5 დეკემბერს ქართულმა დასმა წარმოადგინა „პარტიის კაცი?! პიესა ოთხ მოქმედებათ პართენ გოთუასი. ამ პიესის ვრცელ რეცენზიას ხვალ დავბეჭდავთ.

**ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი.** 6 დეკემბერს ავლაბრის ქართულ და სომხურ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა შეერთებულმა დასმა გაუმართა ნ. გაბუნია-ცაგარლისას 30 წლის იუბილეი.

თეატრი მშვენივრათ მორთეთ. ცოცხალი ყვავილებით და განათებიათ ორი ასო „ნ.“ და „გ.“, რომელიც გარედან თეატრს ძლიერ ამშვენებდა.

8 ს. და 15 წუთზე დაიწყო წარმოდგენა. ითამაშეს ა. ცაგარლის „ორი ობოლი“-დან მე-5 მოქმედება, შემდეგ სომხური ვოდევილი და შემდეგ კიდევ ა. ცაგარლის „ხანუმა“-დან 1 მოქმედება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ავლაბრის სცენაზე პირველათ ვხედავთ მართლა თამაშს, რომელშიაც ეტყობა გარემოება, რეჟისორსაც დიდი შრომა მიუძღვის.

შემდეგ წარმოდგენისა აიხადა ფარდა და თვალწინ გადაგვეშალა იუბილიარისთვის ლამაზათ მოწყობილი ადგილი: მარჯვნივ ჩამწკრივებული ქართული სცენის მოყვარენი და ხორო, მარცხნივ სომხური. იქვე ამაღლებულ ადგილზე იუბილიარისთვის ლამაზათ მორთული სავარძელი.

არ გაუვლია ერთ წუთს, რომ დიდის ტაშის ცემით გამოცხადდა სცენაზე იუბილიარი. გიტარა-მანდოლინისტების ორკესტრმა მშვენივრათ შეასრულა „მრავალ-ჟამიერ“.

ადრესები მიართვეს და მიულოცეს შემდეგ პირებმა: ქართული წარმოდგენების გამგე თ. ნასიძემ, სომხური წარმოდ. მმართ. გამგ. ამხ. ხარაზიანმა აგარონიანმა, ქ. კავთელმა, დიუსია ხანდანიანმა, გოგაშვილმა, დაბლიშვილმა, მალხაზიანცმა, რ. ჯიბლაძემ, ა. კორძაიამ, ა. სულთანოვმა, ალ. გოჩიტაშვილმა, ხ. მასურაძემ, ზ. სვიმონიძემ და სხვა.

ბ. სვიმონიძემ სცენის მოყვარეთა სახელით მიართვა ვერცხლის საბურნუთე და რიუმკა და სხვათა შორის მიმართა შემდეგი სიტყვებით: „მიიღეთ ეს ჩვენი სცენის მოყვარეთაგან; ბურნუთის კოლოფი იხმარეთ „ხანუმაში“ და რუმკით მიირთვით არაყი „მადამ ფრაშარის როლში“.

საერთოდ, იუბილეიმ რიგიანათ ჩაიარა და ხალხიც ბევრი დაესწრო.

დასასრულ იუბილიარმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „ბატონებო! მე დღეს განსაკუთრებულ სიამოვნებას ვგრძნობ, მით უმეტეს, რომ ამ ჩვენს პატარა სცენაზე ვხედავ ორ ნაციას შეერთებულს და ერთი სურვილით აღჭურვილს და მეც, ბატონებო, ნუ კი მოთხოვთ, არამედ მიბრძანეთ და რითაც შემეძლება ვემსახურები ამ ჩვენს პატარა და კოხტა სცენას“.

საზოგადოებაში ამ სიტყვებმა დიდი ტაშის ცემა და ვაშას ძახილი გამოიწვია.

არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ ქართული ხოროს ლოტბარს ბ-ნ ჩარკვიანს, რომელმაც სიმღერები სუსტათ შეასრულა. «მრავალჟამიერ»-ი მაინც სულ არ გარგოდა. იმედია შემდეგში არ გამოვლენ სცენაზე მოუმზადებლათ.

სომხურმა ხორომ სიმღერები მწყობრათ შეასრულა.

ლ—ი.

*) ხელმოწერილი ორიგინალი რედაქციაში ინახება.
რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი.


**გამოვიდა და იყიდება**

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში
— **კედლის კალენდარი 1910 წ.** —
შედგენილი **ზრ.** ჩარკვიანისაგან და გამოცემული „სორაპანი“-ს ამხანაგ. მიერ
ფასი 40 კაპ.

— **სახალხო კალენდარი** —
1910 წლ. შედგენილი მ. გაჩეჩილაძისაგან. ვინც ერთად არა ნაკლებ 50 ცალისას იყიდის %% დაეთმობა.
ადრესი: Тифлисъ т-во. „Сорапань“.
(15—7)

**ავტომობილები**

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგიანი და სხვა და სხვა
მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—25)

13 დეკემბრიდან თფილისში გამოვა ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

**სხივი**

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი) ლექსები, კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე, ბიბლიოგრაფიები, შესანიშნავ მწერალთა ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. აზიანი, ახოსპირელი, ბ. გედა, კ. გოგოლაძე, ივ. გომართელი, ნ. ზომლეთელი, მ. ისამანი, პ. ირეთელი, ა. ლალიონი, ლეო, რ. ლეჟავა, ხუმელი, ვ. მალაქიაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა რაყდენიძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუხაძე, ფ. რუშაველი, ვ. ტუქსიშვილი და სხვანი.

**პირველ ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა ივ. გომართელის კრიტიკული წერილებისა ქართულ ლიტერატურაზე.**

ამასთანავე, იანვრიდან თვეში ერთხელ ჟურნალთან ერთათ გამოვა **კრებული „სხივი“-ს**, მოზრდილი წიგნი. წიგნის ფასი შემდეგ იქნება გამოცხადებული.

კვირეულ ჟურნალში პროვინციის განყოფილებაც იქნება.

წერილები და კორესპონდენციები ერთ გვერდზე და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. დაუბეჭდავ დიდრონ მოთხრობებს და ლექსებს რედაქცია ერთ თვეს შეინახავს, რომლის განმავლობაში უნდა მოიკითხონ ავტორებმა, მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს.

ჟურნალი ეღირება: ერთი წლით 5 მან. ნახევარი წლით 2 მ. 50 კ. ერთი თვით 50 კ. თითო ნომერი 10 კ. ვინც ამ თავიდან გამოიწერს და მთელი წლის ფულს შემოიტანს დეკემბრის ნომრებს უფასოთ მიიღებს.

პროვინციაში ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში წიგნის მაღაზია იმერეთში ის. კვიცარიძესთან, სამტრედიაში რკინის გზის შკაფში ე. კოპალეიშვილთან, ბათუმში რკინის გზის შკაფში გ. მახარაძესთან, ჭიათურაში ვ. ხუროძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ე. ლომთათიძესთან და სხვ...

წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს დროებით: **Тифлисъ, типографія „Печатное дѣло“ Вельяминовская № 6, Поліевкту Антоновичу Каландадзе.**